

# ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო”

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 595336065

N 453

26/08/2016

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 25 აგვისტოს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სხდომა.

დანართი: სხდომის ოქმი №8- 4(ოთხი) ფურცელი

პატივისცემით,

კახა ურუშაძე

ფრაქციის თავმჯდომარე



ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“  
სხდომის ოქმი №8

ქ.ლანჩხუთი

25.08.2016 წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე კახა ურუშაძე.

ფრაქციის წევრები: გიორგი ხელაძე, თეიმურაზ ალექსაია, დავით ჩხარტიშვილი, ელენე ნაჭყებია, თეიმურაზ მარშანიშვილი.

მოწვეული პირი: გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია.

ფრაქციის თავმჯდომარემ, კახა ურუშაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 იანვრის N8 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კ.ურუშაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 ივნისის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კ.ურუშაძე/

3. „ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ობიექტისათვის ნომრის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კ.ურუშაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ობიექტისათვის ნომრის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კ.ურუშაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ობიექტისათვის ნომრის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კ.ურუშაძე/

6. სხვადასხვა.

**ფრაქციის თავმჯდომარემ კახა ურუშაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:**

**მომხრე 6 , წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის პირველ საკითხზე** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 იანვრის N8 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურიამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების გეგმისათვის ცვლილება განპირობებულია ნუსხასა და გეგმაში ასახული რამოდენიმე ობიექტის პრივატიზირების და რამოდენიმე ობიექტის სარგებლობის უფლებით გაცემასთან დაკავშირებით. ნიგოთის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით, სარიტუალო დარბაზი ამოღებულ იქნა საპრივატიზაციო ნუსხასა და გეგმიდან, რომელზეც სარგებლობის უფლებით გაცემიდან გამომდინარე გამოცხადდება აუქციუნი.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურიამ განმარტა, რომ რეალიზირებული იქნა ქ. ლანჩხუთში, ყოფილი სასტუმროს შენობის პირველ სართულზე მდებარე ოთახი N3, ასევე ყოფილი ნავთძიების შენობის მეორე სართულზე არსებული ოთახი N17.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურიამ განმარტა, რომ ყოფილი სასტუმროს შენობაში არსებული ოთახი N3-ის რეალიზაციიდან შემოვიდა 7 000 ლარამდე, ხოლო ყოფილი ნავთძიების შენობაში არსებული ოთახი N17-ის პრივატიზირებიდან შემოვიდა დაახლოებით 2 000 ლარამდე. მისი თქმით ჯამში პრივატიზირებული ობიექტებიდან შემოვიდა დაახლოებით 185 000 ლარი.

**განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.**

**ფრაქციის თავმჯდომარემ კახა ურუშაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:**

**მომხრე 6 ,წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეორე საკითხზე** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 ივნისის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურიამ. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს 2016 წლის 16 ივნისის N48 განკარგულებით დადგენილ იქნა საარჩევნო-სააგიტაციო მასალების გამოფენის ადგილები. ცვლილება განპირობებულია აღნიშნული საარჩევნო-სააგიტაციო მასალების ზომების განსაზღვრის მიზნით. საარჩევნო სუბიექტის მიერ განსაზღვრულ ადგილებში გამოფენილი საარჩევნო ბანერის სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 60 სმ-ეს, ხოლო სიგანე არ უნდა აღემატებოდეს 42 სმ-ეს. სკვერებში არსებულ მწვანე ნარგავებზე მაქსიმალურ რაოდენობად თითოეული საარჩევნო სუბიექტისათვის განსაზღვრული იქნეს ერთი პლაკატი ერთ ნარგავზე. ასევე ერთი პლაკატი ერთი სუბიექტისთვის განათების ბოძზე. რაც შეიძლება მოსაცდელეებს, მისი თქმით განისაზღვროს არაუმეტეს ორი ცალისა ერთი საარჩევნო სუბიექტისთვის.

**განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე. ფრაქციის თავმჯდომარემ კახა ურუშაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს: მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მესამე საკითხზე** ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ობიექტისათვის ნომრის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარე კახა ურუშაძემ მან აღნიშნა რომ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსულია ქ. თბილისში მცხოვრებ მოქალაქე თეიმურაზ გოგიას განცხადება (N3955 25.07.2016) რომელიც ითხოვს ქ. ლანჩხუთში თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 27.06.54.354) მიენიჭოს მისამართი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ დათვალიერებული იქნა ობიექტი ადგილზე. მიწის ნაკვეთი მდებარეობს ნ. ჟორდანიას ქ. N35-ის მიმდებარედ. აღნიშნულ სამსახურს მიაჩნია, რომ მოქალაქე თეიმურაზ გოგიას საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს მიენიჭოს მისამართი ნომრით ნ. ჟორდანიას ქ. N33.

**განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე. ფრაქციის თავმჯდომარემ კახა ურუშაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს: მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ობიექტისათვის ნომრის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარე კახა ურუშაძემ მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსულია მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოქალაქე ნუგზარ იმნაძის განცხადება (N3862 19.07.2016) რომელიც ითხოვს მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 27.07.41.090) მიენიჭოს მისამართი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ დათვალიერებული იქნა ობიექტი ადგილზე. მიწის ნაკვეთი მდებარეობს იოანე

ნათლისმცემლის ქ. NI-ის მიმდებარედ აღნიშნულ სამსახურს მიაჩნია, რომ მოქალაქე ნუგზარ იმნაძის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს მიენიჭოს მისამართი ნომრით იოანე ნათლისმცემლის ქ. NI<sup>ა</sup>.

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე. ფრაქციის თავმჯდომარემ კახა ურუშაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს: მომზრე ნ.წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შუბუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ობიექტისათვის ნომრის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარე კახა ურუშაძემ მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ლანჩხუთის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის უფროსის სოფიკო სარაჯველაძის წერილი (N 11/208354 08.08.2016) რომელიც გვთხოვს დახმარებას მოქალაქე რუსუდან კიკვაძე-ფირცხალაიშვილის (პ/ნ26001011740) მისამართის დაზუსტებასთან დაკავშირებით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურისა და შუბუთის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის მიერ ჩატარებული მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ დამისამართების დროს მოქალაქე რუსუდან კიკვაძე-ფირცხალაიშვილს შეეცდომით მიენიჭა მისამართი ნიგოითის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ნიგოითში, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ მოქალაქე რუსუდან კიკვაძე-ფირცხალაიშვილის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს (ს/კ27.05.44.060) მიენიჭოს მისამართი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელი ზემო შუბუთი ლელოს ქუჩა N 3ა (NI ქუჩა N3ა).

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე. ფრაქციის თავმჯდომარემ კახა ურუშაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს: მომზრე ნ.წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დასრულდა.







ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე:



კახა ურუშაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

25 აგვისტო 2016 წელი  
14.00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	კახა ურუშაძე	13 <sup>50</sup>	
2	ბესიკ ტაბიძე		
3	ალექსანდრე სარიშვილი		
4	გიორგი ხელაძე	13 <sup>50</sup>	
5	დავით ჩხარტიშვილი	13 <sup>50</sup>	
6	ია ჩხაიძე		
7	თეიმურაზ მარმანიშვილი	13 <sup>58</sup>	
8	ელენე ნაჭყეზია	14 <sup>00</sup>	
9	თეიმურაზ ალექსაია	19 <sup>50</sup>	
10	გურამ კერესელიძე		